საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №36
2024 წლის 5 თებერვალი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გასცემს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატებს;“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ^{2}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^{3}“ ქვეპუნქტი:

„ვ^{3}) განსაზღვრავს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატების დადგენილი წესით ბეჭდით დამოწმებასა და ხელის მოწერაზე უფლებამოსილ თანამშრომლებს;“.

3. მე-14 მუხლის „გ^{4}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ^{5}“ ქვეპუნქტი:

„გ^{5}) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გადასახადის გადამხდელისთვის მატერიალური ფორმით გადაცემის უზრუნველყოფა;“.

4. მე-17 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის, ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების, სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის, ლუქების გამოყენებით ტვირთის გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების სერტიფიკატის, საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ლაშა ხუციშვილი**